ეშმაკის მათრახი

იუმორისტული ჟურნალი

№ 5

ფასი 10 კაპ. — კვირა, 29 მარტი — 1915 წ.



[redacted]

პატარა ფელეტონი

როლების განაწილება

„ჩვენ ხლა უფრო კარგი ქვისმთლელები, მეჩექმეები და მეურნეები გვჰირია, ვიდრე ცუდი ვექილები, ექიმები და მოხელეები.“

გერონტი ქიქოძე

(„სახ. ფურცელი № 241.)

„სახალხო ფურცელის“ რედაქციაში დიდი მზადებაა. გერონტი ქიქოძის წერილმა („მეურნეობა და ეროვნული ენერგია“) ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორიც არასოდეს მოუხდენია თვით გრიგოლ რობაქიძის ლექციას ქართველ საზოგადოებაზე.

რედაქციის წევრებს დიდი ხანია მოსწყინდათ „ცუდი ვექილობა, ურიგო ექიმობა, — მოხელეობა“, და აი დღეს ამ მოწყენილობას უკვე მალამო გამოუჩნდა.

გერონტი ქიქოძის წერილი, — ეგ უებარი წამალი, ბედზე მოსწრებული დახმარებაა აღნიშნული რედაქციისათვ-ს და ამიტომაც ადვილი ასახსნელია ის აღფრთოვანება, რომელიც მან გამოიწვია.

—საჭიროა ჩემგან დაიწყოთ, მუდარების კილოთი შეეხვეწა გერონტის ბ-ნი გ. ბარელი. — თუ საქმე ცუდ ვექილზე მიდგება, არა მგონია ჩემზე უარესი კიდევ აღმოჩნდეს ვინმე მთელ საქართველოში, არა თუ ჩვენს რედაქციაში.

—ძლიერ კარგი მეგობარო, დაუყვავა თავმჯდომარემ, --შენს გულწრფელობაში ეჭვს ვინ შეიტანს, მაგრამ რა ხელობა გინდა იკისრო?

—როგორ თუ რა ხელობა?! რაც უფრო შემეფერება... ცხადია მეჩექმეობა.

—ოჰოო! კი მაგრამ ეს დარგი მე ჩემ...

—თქვენ უფრო ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე ხართ. მე ქვისმთლელობის წინააღმდეგიც არაფერი მექნებოდა, მაგრამ სუსტი აგებულობა არ მაძლევს ნებას...

—ვნახოთ, ვნახოთ, შეიძლება მოვახერხოთ რამე.

—სამუდამოთ მადლობელი ვიქნები და თქვენს სახელზე ვილოცავ.

- კარგი, კარგი, ვეცდები. — შენ რას ისურვებ არჩილ ჩემო საყვარელო, სიცოცხლეზე უფრო ტკბილო? შეეკითხა გერონტი ახალგაზრდა შავგვრემან პუბლიცისტ არ. ჯა - შვილს.

—ყოველ შემთხვევაში ქვის-მთლელობაზე კატეგორიულ უარს ვაცხადებ. ახალგაზრდა კი ვარ, მაგრამ ბავშობიდანვე სუსტი აგებულობისა ვიყავი. მეჩექმეობა თუ ვისმე შეეფერება ჩვენს რედაქციაში, პირველ ყოვლისა მე. ვფიქრობ ამისი მტკიცება ჩემთვის საჭირო აღარ უნდა იყოს, ვინაიდან ხანგრძლივი ჩემი მოღვაწეობა თავისთავად აშკარა საბუთს იძლევა.

—თუ განვლილ მოღვაწეობაზე მიდგება საქმე, ნუ გეწყინებათ, მაგრამ ჩვენ ბქვენზე უფრო დამსახურებული და ამ დარგებისთვის უმეტეს შესაფერნიც მოგვეპოებიან. მეურნეობა რატომ არა გსურს?

—მეურნეობა რომელს ჰქვია?

—მეურნეობა ყველაზე ადვილი და თანაც უსაჭიროესი დარგია. აი მაგალითად ყურძენი, ფორთოხალი, მსხალი, ვაშლი და სხვა ხილეულობა უნდა მოჰკრიბოთ...

—მე კი მეჩექმეობა მერჩია, რაღაც გული უფრო მიმიწევს, მაგრამ თუ არ შეიძლება, დეე ისევ ყურძენი და ფორთოხალი იყოს, ოღონდ ამ წერას კი დამთხოვეთ...

—კარგი და ჩინებული. ახლა მეურნეობის შესახებ გულდამშვიდებით შეგვიძლია ვიყოთ. შენ ოსებ? რა არის შენი მისწრაფების მიზანი?

—ჩემთვის სულ ერთია.

— სულ ერთი როგორ შეიძლება. სამივე დარგი დიდათ საყურადღებოა მამულისათვის, მაგრამ უფრო რომლ-სკენ მიგიწევს ხალისი?

- თითქმის სულ ერთია, თუმცა უფრო ადვილათ რასაკვირველია მეჩექმეობა მეჩვენება.

—მეჩექმეობა ვითომც აღარ არსებობს. დანარჩენ ორში?

—სულ ერთია!

—მაინც?!

—მაინც სულერთია.

—მაშ ქვის მთლელობა?

—ქვისმთლელობა იყოს. მცხეთის სობოროს განახლება უნდა, სულ თლილი ქვაა საჭირო.

—გმადლობ. მოსაწონია ასეთი განურჩეველობა. — შენ რას ინებებ სამსონ?

—ან მეჩექმობა, ან არაფერი.

—ეს ხომ ულტიმატუმია?

—იძულებული ვარ. რაც შემიძლია ქვეყნის სანაცვლო იყოს, რაც არა, იმას ვერ ვიკისრებ.

—მე დარწმუნებული ვიყავი, შენ მეურნეობას ირჩევდი. უფრო კეთილი საქმეა, ხალხთან დაახლოებული, ჩექმებს მართლაც მხოლოდ მდიდრები იც-

ვამენ და მეჩექმეობა უფრო ბურჟუაზიული ხელობაა, ვიდრე მეურნეობა.

—კარგი და პატრონსანი, მაგრამ არ შეიძლება ეს ხელობა ჩვენი ცხოვრების მიხედვით დავახურდაოთ?

—ეს როგორ?

—აი მაგალითად: ჩემის აზრით ,,მეჩექმეობა'' ზოგადი სახელია და თავისთავად ცხადია იგი უფრო შეეფერება უპირველესს ჩვენ შორის. „მექალამნეობა''-კი ნაწილია მეჩექმეობისა და თანაც უფრო ახლო ქართველი ხალხის ფსიხიკასთან. ამიტომ ეს დარგი მეჩექმეობისა მე მომაკუთნეთ. ,,მეჩუსტეობა'', მეორე საფეხურია მეჩექმეობისა და შეიძლება დაეთმოს არჩილს. ჩემის აზრით ჩუსტებს გაცილებით მეტი მოთხოვნილება აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე ჩექმეულს. ,,მექოშეობა'' და მეპაჭეობა ვინმე მდედრობითი სქესისას უნდა მიენდოს, ხოლო რაც შეეხება ,,ორჩოფეხების'' წარმოებას, დიდი დაფიქრება გვჭირია კანდიდატის გამოსანახავათ. ორჩოფეხების დამზადებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირ ზეგარდმო ნიჭი უნდა. გრ. რობაქიძე რომ ჩვენი მუდმივი თანამშრომელი იყოს, მე პირველი ჩავუჯდებდი მას თეთრ კენჭს. რას იტყვით მეგობრებო ამაზე?

სიტყვამ სრულიად დამსახურებული აღფრთოვანება გამოიწვია, ყველანი გააოცა სამსონის ერუდიციამ აღნიშნულ სადღეისო საკითხში და მიანდვეს მას შეადგინოს ამის შესახებ ცალკე მოხსენება, გაანაწილოს როლები და მომავალ კრებაზე გააცნოს იგი უფრო ფართე საზოგადოებას.

ამიტომ: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში უხეირო მწერლების, პუბლიცისტების, ვექილების, ექიმების და მოხელეების ნაცვლათ ჩვენ გვეყოლება: კარგი მექალამნეები, მეჩუსტეები, მექოშეები, მეორჩოფეხეები და საზოგადოთ კარგი მეჩექმეები.

ეს კი დიდი პროგრესია.

ლარი.



ომის ილიუსტრაცია



სამხედრო ჰაეროპლანი თავს დასტრიალებს წიოფის წამლის საწყობს

ცეპელინი ღრუბლებს ზემოდან უშვებს კალათს, რომელშიაც სხედან მფრინავები დი ისვრიას ყუმბარებს

შარადა

მე რომ ქალს ვამბობ, ჩვენ შორის
არავინ არის მნახველი,
თუმცაღა ყველას გსმენიათ
იმისი ტურფა სახელი.
არ არის იგი არც რუსი,
არც ფრანგი, არცა ურია
(ვგონებ ეშმაკმაც არ იცის,
რა ტომის, საღაურია!)
მაგრამ სიმშვენე იმისი
კალმით არ აიწერების.
(მოწმეთა მყვანან მწერალნი
ყოველი ქვეყნის, ერების!)
დაფრინავს ვითა პეპელა,
გარს ეთერ შემონახვევი...
აწ კმარა, თორემ როგორც ჩანს
მეც მის ფეხის ხმას ავყევი.
გაჰკვეთეთ იგი ასული
ხელ მარჯკეთ, დოსტაქრულათა...
მხოლოდ გთხოვთ: — ნაწილს მეორეს
ნუ მოეპყრობით მტრულათა.

ზემორე თქმული ასული,
ვინც ჰიმნს ზეციურს აპკურებს,
ხშირად ჩამოდის ამ ქვეყნად,
მცირე ხნით დაისადგურებს.
(იცის ეგ გაზაფხულობით,
როდესაც ჰყვავის ბუნება,
როს ბულბულს, მორცხვად გაშლილის
ვარდისა უყვარს ცდუნება!)
მე მინდა იგი სადგური
მოვნახო უეცველადა...
(თან მახვილს ვლესავ, ვერაგულ
სახლის მის გასაპრელადა!)
ის საარაკო სადგური,
ფრიად მოძრავი ბინაა.
ხან თითონ სტუმრათ ბრძანდება,
ხან ოთახში ზ-ს, შინაა.
ზოგს სახურავი აკლია,
ზოგს კიდევ, ავეჯეული,
ზოგს ანგელოზი მფარველობს,
ზოგს კი ეშმაკი, წყეული.
როს შვაზე გავჭრით ამ სადგურს,
ჩვენ მისი ბანი გვჭირია
საძირკველი და კედელი
ბედისგან გასაწირია.

ახალი სიტყვა შეგვიდგა!..
საამო მოსასმენადა..
დღეს ყოველი მხრივ დევნილი
ყოველთა შესარცხვენადა.
ვინც გამოიცნოს ხმა ტკბილი,
და სან ტარო შარადა,
გზა ჯვარედინზე იყვიროს,
იყვიროს მთად, თუ ბარადა,
იყვიროს სოფლად, ქალაქში
და ეკლესიის კარადა,
იყვიროს, ვიდრე შეწყდება
სისხლი მჩქეფარე ღვარადა.

კოლო.



ომის ილიუსტრაცია



გერმანელი მფრინავი ბაირაღებით ნიშანს აძლევს თავისიანებს ბელგიელთა ჯარის შესახებ.

ვინაა მართალი?!

I

ჟურნალის გამოცემა რომ განვაახლე, აკაკი უფრო დამიახლოვდა და როცა კი შემხვდებოდა, ისე სიტყვას არ მეტყოდა — არ წავექეზებინე...

— **ჟურნალის მეთაურებს ვინა სწერს?** — მკითხა ერთ კვირა დღეს თეატრის ეზოში!

—რაზე მკითხავთ, ბატონო?

—მინდა ვიცოდე, თუ საიდუმლო არ არის!..

—ქართულ მწერლობის თვით მესაიდუმლეს რა დაეფარება, მივუგე და მასთან დავსძინე: **მეთაურები ჩემია.**

მგოსანი შედგა, მომიბრუნდა, **ოდნავ თავი გადმოხარა, თვალის ქუთუთოები გააღო, სახის ნაქვთები სანეტაროდ გაუბრწყინდა და თითქმის იდუმალის ხმით მომიგო:**

შენი?! სწორედ არ მეჯერა (სწორედ ამ სიტვით — „არ მეჯერაო“) **და თუ კი ეს მართალია, მადლობა ღმერთს!.. სჩანს ღმერთს კიდევ არ დავვიწყებივართ: ის, რაც მთელ სიცოცხლეში ნატვრად მქონდა, აწ ვხედავ განხორციელებულს, — ხალხის საქმეს ხალხისვე შვილებმა უნდა უჭირისუფლონ... ხალხის ენით მხოლოდ ხალხის შვილები დაილაპარაკებენო...**

მე მოკრძალებით ვკითხე:

- ნუ თუ ასწრობთ წერილების წაკითხვას?

—მუდამ... პირველად ამ წერილებს ვკითხულობ ხოლმე და ძლიერაც ვკმაყოფილდები...

—**ეს თქვენი გულუხვობის ბრალია, ბატონო, თორემ... სად მე — სად აგეთი ხოტბა?**

—ყური უგდე ხალხის გულის თქმასა.., გეტყობა უცხო გავლენას აცდენილი ხარ... **ქართველი მწერალი და ქართული ჟურნალ-გაზეთის ხელმძღვანელი აგეთი უნდა იყოს...**

„თეატრი და ცხოვრება“ № 10.

იოსებ იმედაშვილი

II

სასტუმრო «ვეტცელის» მეოთხე სართულში ვინახულე აკაკი.

ლაპარაკი ჟურნალ-გაზეთებზე ჩამოვარდა.

—განა თქვენ გაქვთ დრო გაზეთების წასაკითხი?

—მუდამ. პირველათ „ეშმაკის მათრახს“ ვკითხულობ და **აღტაცებაში მოვდივარ.**

—„თეატრი და ცხოვრება“ როგორ მოგწონთ?

—აბა რა საკითხავია... Бѣда, коль... ხომ იცი. იოსებ იმედაშვილის პოეტურ ნიჭს ყოველთვის მაღლა ვაყენებდი, მაგრამ მისი **პროზა ჭეშმარიტათ დომხალია.**

— როგორ? მოწინავეები არ მოგწონთ?

მგოსანი შედგა. მიბრუნდა. **ოდნავ თავი გადახარა. ხელები ზურგზე დაიწყო, თვალები დახუჭა, სახის ნაქვთები ძალზე დაეღრიჯა და სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა:**

—გათახსირება, გათახსირება, გათახსირება! სჩანს ღმერთსაც დავავიწყდით და ეშმაკსაც. ის, რაც ჩემ სიცოცხლეში ოცნებათ მქონდა ახლა **გამიცრუვდა** და წყალში ჩამიცვივდა. ყველა **მეტიჩარა** უნდა მწერლობაში **ჩაეჩხიროს** და მისთკის შეუძლო საქმე იკისროს. შენ კი იცი, ეშმაკო, როგორ მძაგს მე **უნიჭო** და **აბეზარი** ხალხი...

—კი, ბატონო, მაგრამ არც ამდენის ღირსია იოსების ჟურნალი. მოწინავე შეიძლება უნიჭოთ იყოს დაწერილი, მაგრამ საერთოდ...

— საერთოდ ჟურნალი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორი **არ უნდა იყოს** ჟურნალი და მისი ხელმძღვანელი.

ეშმაკი

P. S. თუ იოსებ იმედაშვილი ეკვს ზეიტანს ამ მუსაიფის სიმართლეში, ვიწვევ მას სამედიატორო სამართალში. ჩემი მხრიდან ვასახელებ სოსიკო მერკვილაძეს და ვარდენ ყიფიანს. ბ-ნმა იმედაშვილმა უნდა დაამტკიცოს. **პირველი** ისა, რომ აკაკიმ ილაპარაკა ყოველივე, რაც მისი ჟურნალიდან მაქვს ამოწერილი.

მეორე ისა, რომ აკაკის არ უთქვამს ჩემთვის ის, რასაც მე დღეს ვამჟღავნებ „ახალი მათრახის“ მე 5 ნომერში.

ე—კი

წერილი მეგობრებთან

ახ, მამაო «ეშმაკო» და ძმაო „თაგუნა“,
ბედმა თქვენთან ყოფნა თუმცა მეც მარგუნა,
მაგრამ ვერ მოვდივარ: გზა მაქვს მეტათ შორი:
მუზაც გაჯიუტდა ისე, როგორც ჯორი. *)
„რა დროს ხუმრობაა,—ამბობს წარბ შეკრული,—
როცა სისხლის ზღვა დგას, სჩქეფს ცრემლთ ნაკადული,
ცოლი ქმარს დასტირის, დედა—პირმშო შვილსო
და ქვეყანას ხედავ ძაძით შემოსილსო?!..“
და მეც ვემორჩილები, თუმცა მრწამს და მჯერა:
რომ სიცილი ცრემლზე მწარეა ზოგჯერა:

—

*) მუზას მოახსენე
(გაჯიუტებულსა)
ეგრე უბრალოზე
ნუ გაიტეხს გულსა!
აქეთაც ომია,
ცრემლის და სისხლის ღვრა
(დათიკო კასრაძემც
დაიწყო წიხლის კვრა!)
მაგრამ ჯოჯოხეთი
ამაზე არ დარდობს
ეშმაკთა რაზმები
ძველებურ ნავარდობს,
ხან ერიშით მიდის,
ხან მოსულთ იგერებს
(ხეირი არ ელის
მის ორგულთ და მტერებს!)
არ ვიცით დაზოგვა
და ნურც გაგვიმტყუნებთ,
თუ, ვინაც ღირსია**)
სულყველას ვუცხუნებთ.

**) მაგრამ თუ წავაწყდით
ჩარჩს ვისმე (ქეციანს)
(როგორც „ხათაბალურ“
რაინდ ერიციანს!)
მყისვე სიბრალჯლი
სახეს გაგვინათებს
და ლმობიერებით
ვეპყრობით ფინაჩებს:
კალამს ჩამოვართმევთ
შნო არა აქვთ წერის
და თაბახს ვუბოძებთ
ის უფრო შეჰფერის.

ახლა ასე იყოს. გავა დრო და ხანი
და მეც გესტუმრებით, ვერ დამიჭერს მთანი.
ქუთაისის ამბავს მოგიყვებით სრულათ,
თუ ვით არის მისი საქმე ჭანდრაკულათ.
არ დავტოვებ არვის: არც კაცს და არც ქალსა,
არც დიდს, არც პატარას, შავს თუ ბროლ-ფიქალსა,
„ოქროს ფეხის“ მიჯნურს, „კოცნის“ მოტრფიალეს,
უკან რომ დალდევენ პოეტს: «გენაცვალეს».

ხუმარა

ომის ილიუსტრაცია

ინგლისელი მეომრები სახლის სახურავიდან ესვრიან გერმანელ ჰაეროპლანს

ინგლისელთა დირიჟაბლიდან ძირს ისკრიან გერმანელ შპიონს, რომელმაც მოახერხა დირიჟაბლს აჰყოლოდა მფრინავთა ასაფეთქებლათ.

ომი და მისი ისტორია

მშვილდ—ისარი.

ვისთვის არის საიდუმლო, რომ როგორც ომი, აგრეთვე საომარი იარაღები,—ინტერნაციონალურ ხასიათისა არის, მაგრამ ჩვენი მკითხველებისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება მშობლიური მილიტარიზმის განვითარებასაც. მართალია ქართველი ერის ინიციატივა აღარ სჩანს ამ ბოლო საუკუნეში, რომელიც სამართლიანად ითვლება მილიტარიზმის აყვავების ხანად, მაგრამ ძველათ ქართველ ხალხსაც შეჰქონდა თავისი წვლილი საერთაშორისო სალარაში.

—„ოშვიათია ქვეყანაზე ერი, რომელსაც ეკავოს ისეთი კარგი ქვეყანა, როგორიცაა საქართველო“.

ასე იწყებს თავისს ღრმა გამოკვლევას უკვე ცნობილი ისტორიკოსი სიმ. ქვარიანი.—„ტყით დაბურული მთა გორაკები, ვაზით შემკული **მწვანე კორდები**, პურის, სიმინდისა და ღომის ყანებით ოქროთ მბზინავი **ვრცელი ჭალები**,—აი, საქართველოს ტურფა ბუნება! მასზე მოცქრიალობენ ანკარა მდინარენი, მთებიდან გადმოქუხს ბროლის ჩანჩქერი და ახარებს ქართველის გულს“.

ამ მშვენიერ ქვეყანას რა თქმა უნდა მოვლა-პატრონობა უნდოდა და მართლაც ხალხმა აირჩია მამასახლისები. 300 წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე საქართველოს შემოესიენ ბერძნები და მამასახლისებს ჯაჭვი ჩამოართვეს. ხალხი დიდ განსაცდელში ჩავარდა, მაგრამ ამ დროს წერა არავინ არ იცოდა, ვინაიდან ქართული ანბანი მოგონილი არ იყო, მხოლოდ გულში ჯავრობდენ და ელოდენ გმირს.

ეს გმირი გახლდათ ფარნაოზი.

ფარნაოზი ბერძნების შიშით ოსებში გადამალეს, მაგრამ როცა გაიზარდა, ტივით მცხეთაში ჩამოვიდა და იქ იმალებოდა. მართალია მაშინ პასპორტი და დვორნიკი არ არსებობდა, მაგრამ ჯაშუშები ბევრი იყო.

ერთხელ ფარნაოზი სანადიროთ გამოვიდა მცხეთის მახლობლათ. უცებ ჩირგვიდან უზარ-მაზარი ირემი გამოხტა. ფარნაოზმა მყის მოზიდა **მშვილდი**, ესროლა **ისარი** და ირემი დასჭრა. დაჭრილი ირემი რასაკვირველია უკუიქცა და ფარნაოზიც დაედევნა. ხან ერთი უსწრებდა, ხან მეორე. ბოლოს ისე დაბნელდა, რომ აღარაფერი სჩანდა და მებრძოლი მხარეები შეჩერდენ. საბედნიეროთ კოკისპირული წვიმა მოვიდა და ფარნაოზმა იგრძნო, რომ ტყეში იყო. ალალბედზე მიავლ-მოავლო ხელი და პატარა გამოქვაბული იპოვა. შეძვრა შიგ და დაისვენა. როცა სპიჩკა აანთო, რაღაცამ კუთხეში დაიბრჭყვიალა. მივიდა, ჭკრა ფეხი და გამოდგა შანტაჟისტების მიერ გადამალული აურაცხელი ოქრო ვერცხლი.

მეორე დღესვე ფარნაოზმა აჰკიდა ეს განძი აქლემებს და ჩუმათ მიუტანა სამეგრელოს მამასახლის ქუჯის. ქუჯის ძლიერ ესიამოვნა ფარნაოზის სტუმრობა და შეჰკრა მასთან კავშირი.

ამ აურაცხელი სიმდიდრით შეუკვეთეს მაშინდელ ქარხანას საუკეთესო მშვილდ-ისრები ავთანდილის სისტემისა და შეაიარაღეს ათი კორპუსი ჯარი.

ისარი წარმოადგენდა წვრილსა, გრძელსა და მაგარ ჯოხს, რომლის წვერზე წამოცმული იყო ფოლადის საკეთი და ბოლოზე გაყრილი ჰქონდა ორბის ფრთა. ნედლი მასალა, (შინდის ჯოხები) ქარხანას შემოჰქონდა უმთავრესათ არაგვის ხეობიდან.

მშვილდი უფრო რთული კონსტრუქციისა იყო. რკალათ მოხრილ თხილის ჯოხს გაბმული ჰქონდა მაგარი თოკი, ან ძარღვი ცხოველისა, რომელიც დანიშნული იყო ისარის შორე მანძილზე გადასატყორცნათ.

ქუჯიმ და ფარნაოზმა შესძლეს ბერძნების დამარცხება, ვინაიდან ქართული ისარი ხუთ სანტიმეტრიანი იყო, მაშინ როცა ბერძნებისა სამამდიც ვერ აღწევდა. გარდა ყალიბისა, ტყორცნის მანძილიც ჩვენებურ ისარს გაცილებით მეტი ჰქონდა, ვიდრე მტრებისას.

გარდა საკუთარი ჯარისა ფარნაოზს მიემხრო აგრეთვე ნაწილი ბერძნებისა. (აზოს ჯარისა) მოღალატეებს გამარჯვების წარჩინება მისცა ფარნაოზმა. სხვათაშორის მათ უბოძეს აზნაურობა. თითონ ფარნაოზი მცხეთის კათალიკოსმა აკურთხა საქართველოს მეფეთ.

ასე შემოვიდა ხმარებაში საომარი იარაღი „მშვილდ-ისარათ“ წოდებული და ამგვარათ დამკვიდრდა საქართველოში მეფობა.

მოკრიელი.

(შემდეგი იქნება)



ფიქრები

ერთი მილიტარისტი
(საგანს რო დაეწაფა)
ეშმაკურ მოგონებით
სუყველას წაეჭარბა.

იშოვა დიდი ბურღი,
დინამიტი, ფითილი
და გულში გადასწყვიტა
დედა-მიწის სიკვდილი.

— განა ის არ სჯობია
ამდენ შიშს და ტანჯვასო,
ავაფეთქო ქვეყანა,
რომ არ დარჩეს ქვა-ქვასო?!

გამობურღა, ჩააწყო
ფითილსაც ცეცხლი მისცა,
და როცა ნანგრევებათ
გადიქცა დედა-მიწა,

გამოეღვიძა ბედკრულს
და მწარეთ ჩაეცინა:
(თურმე წყლიან სანგარში
ოფზე ჩამოეძინა!)







გოზინაყი.

ქალების გემოვნება.

ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“ მოთავსებულია ბ-ნი ივ. გომართლის სააღდგომო მოთხრობა: «მემკვიდრეობა».

იქა სწერია:

„რისთვის მოსწონდათ (ლუკა ლუკის-ძე) ქალებს, მართალი გითხრათ, არ ვიცი. ქალის გემოვნებას ან კი ვინ რას გაიგებს: ზოგჯერ ისეთი მოეწონება, რომ ზედ არ შეაფურთხებთ“.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ მოთხრობის შესახებ სრულიად წინააღმდეგი შეიძლება ითქვას, ვინაიდან „მემკვიდრეობა“ არც იმდენათ ულაზათოა, რომ..

„ბილიონი თუ ბეზჩოტნი“.

«სახალხო ფურცელი“ (№ 223) სწერს:

„შეცდომის გასწორება: გუშინდელ ომის ამბებში (გერმანია) შეცდომით სწერია: „თუ გერმანია მიიღებს 25—30 მილიონ კონტრიბუციას.“

უნდა იყოს: 25—30 მილიონს. (ბილიონი უდრის მილიონჯერ ბილიონს).

ცხადია, ეს „შეცდომის გასწორება“ რომ გადაეკითხა რედაქტორს, იმავე გაზეთის მე 224 ნომერში იქნებოდა ახალი გასწორება.

„გუშინდელ შეცდომის გასწორებაში შეცდომით სწერია: «ბილიონი უდრის მილიონჯერ ბილიონს». უნდა იყოს: **ბილიონი უდრის ბილიონჯერ მილიონს**“.

ანდაზა: გაშოუდეგ სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა.

გერმანელი «ხანები».

ჟურნალ «განთიადში» (№ 6) ომის მემატიანე სწერს:

„ამ უკანასკნელმა ხანებმა გერმანიისა და ავსტრიის ფრონტებზე სასტიკი შეტაკებები გვიძლვნა“.

ხანები პატრიარქალური ხალხია და ძლევნიც იციან, მაგრამ ვერ გაგვიგია ავსტრია-გერმანიის ფრონტზე რამ გადაიყვანა ისინი.

გამოურკვეველი სქესი.

იმავე ჟურნალ «განთიადში» ბ-ნი ხ—ლელი სწერს:

„პირველათ მას (ია ეკალაძეს) ქალაქ გორში ეჭირა ქართული ენის ადგილი. შარშან ქუთაისში გადმოვიდა და მიღებულ იქნა მასწავლებლათ ქ-ნ პავლე ხოჯევანოვის ასულის ქალთა გიმნაზიაში“.

ბ-ნ ხ-ლელს ყველაფერს დავუჯერებთ. დავუჯერებთ, რომ ია ეკალაძე უდიდესი ბელეტრისტია, მაგრამ ნურას უკაცრავათ, თუ ქ-ნ **პავლე ხოჯევანოვის ასულის** არსებობაში ეჭვი შევიტანოთ.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ გიმნაზიას განაგებს არა ქ-ნი პავლე, არამედ ბ-ნი ლიზა ხოჯევანოვის ქალი.



ჩვენი კომპოზიტორი და მუსიკის ისტორიის მკვლევარი დ. ე. არაყიშვილი ამ ჟამად ნივთიერად შევიწროვებულია და ჯანითაც მოქანცული აუარებელ წვრილმან გაკვეთილების გამო, რისთვისაც დრო აღარა აქვს სამუსიკო მუშაობისათვის. ამავე მიზეზით ვერ ჩამოვიდა თბილისს საკუთარი ოპერის დასადგმელად. აგრეთვე შევიტყვეთ, რომ თავისს ოპერას **«თქმულება შოთა რუსთველზე»** რუსული სცენისათვის ათარგმნინებს, რადგან ქართულ სცენაზე დასადგმელად შეძლება და ხელშემწყობი პირობები ვერ მოიპოვა. («თეატრი და ცხოვრება»)

თანახმათ მობილიზაციისა.

სალამი შენდა, ეშმაკო,
შენის „მათრახს“ ტარითა...
ვისმინე ომსა აცხადებ
და ემზადები ჯარითა,
შეკრიბე ეშმაკთ ლაშქარი
საყვირითა და ზარითა...
მეც მიმსახურე ბრძოლაში,
ხუმარა სიტყვით, მწარითა.

მე ჩემით მივხდი რომ მიწვევ
მტერთან პირდაპირ ბრძოლაში,
გუდა ქამანჩის ხმარებით
მწვავე სიტყვების სროლაში,
თუმცა არა ვარ ნასწავლი
არცა გხლებივარ შკოლაში,
მაინც ვიბრძოლებ გულადათ...
მტრებს დაგანახებ ძრწოლაში.

ვიბრძოლებ როგორც მავალებ,
მთავარ ეშმაკის წესითა,
გასამათრახებს დავიჭერ
ვერ დამემალვის ვერსითა,
დავიჭერ, თუნდაც წინ იყოს
სამოციოდე ვერსითა.
მოგიყვან, დასჯა შენ იცი
სასჯელით უკეთესითა.

აი, პირველი, ქალწული,
მეზობლის ქათმის პარია...
მან დაკვლაც იცის, გაპუტვაც,
მოხარშვაც უებარია.
დედას და ძმასა ჩიხირთმას
უმზადებს გაგიხარია...
სასჯელი დიდი არ უნდა,
წკიპურტი გადაჭარია.

მეორეც, აქეთ ღვინოსა
ძალიან გასავალი აქვს...
ყველა წყალ-ღვინით ვაჭრობენ,
ვისაც კი დასამალი აქვს.
აძრობენ მუშტრებს ტყავებსა
ბრჩხილებში რაც რამ ძალი აქვს,
ამათ კი, კუდი მათრახის,
თუ ეშმაკს სამართალი აქვს.

მესამეც იმათ, რომლებმაც
საზრდოს უმატეს ფასები,
ომმა თუ ერთი წაიღო,
იმათ ჩაჯიბეს ასები...
ხალხი გაყვლიფეს ღარიბი,
თვითონ გაივსეს კასები...
აბა, აქ მწვავე „მათრახი“,
ეგ ძვირად დასაფასები.

ან. გაწჯის-კარელი.

ი ე რ ი შ ი.

წ ე რ ი ლ ი.



მკირე ხნით რედაქტორობა

დიდი ხნის სურვილი შემისრულდა: მხვდა რიგით რედაქტორობა, მხოლოდ ერთის დღით.

ამ სულითა და ხორცით საპასუხისმგებელო ხელობას თუმცა ბევრი მოტრფიალე ყავს, მაგრამ მე ერთი დღით სარედაქტორო გაფხეკილ მაგიდასთან ჯდომამ და საგაზეთოთ მოზიდული წერილების გადათვალიერებამ ამ ხელობაზე სამუდამოთ უარი მათქმევინა. მოდი და ნუ გადუდგები ამ გვარ სახიფათო საქმეს.— თუ ღმერთმა ინება და რედაქტორთ საყუდელს, ანუ როგორც მდაბიოთ იტყვიან, სარწყილეთს აშორდი, წამებათ და ვაებათ ისიც გეყოფა, რომ უამრავი წერილები გადაიკითხო, იქიდან ვერა ამოიღო რა, და შემდეგ თითო თითოდ კალათში გადაგზავნო, რა მკვდარი და რა შინ მოუსვლელი, რა სარწყილეთის ტანჯვა და რა უაზრო წერილებით თავის გამოლაყება. ალია და ოსმანა ორივე თათარია.

რაც მოხდა მოხდა და მე სარედაქტორო სკამზე წამოვსკუპდი. თვალები ყურის ძირამდი დავაფართოვე, როცა ფოჩტის მოხელემ ერთი ხელის მოდება წერილი შემოიტანა რედაქციაში და ჩემ წინ დააწყო. გავხსენი ერთი. ვნახოთ აბა «ახალი ამბავია», «ფელეტონია» თუ «მიმოხილვა». ვკითხულობ:

1.—არც ისე უსტავლელი გეგონოთ ბ. რედახტორო, რომ პრამათ, სლაბოდნათ ვერ მოგწერო, მაგრამ სანამ მოგწერდე ნეუჟელი იმან მე რა მიყო და სხვა...

აწერს ხელს ვინმე გაბედულიძე. ვიქონიე მოთმინება და გაბედულიძის წერილი გადავიკითხე. რა თქმა უნდა არც ერთ ზემო თქმულ განყოფილებისათვის იგი არ გამოდგა. ჩამიარა შრომამ და

წერილი კალათში გადავუძახე.

2.—ხუცის ყანწი, უჩიტლის კარტი, ხუცის მუშტი, უჩიტლის ნარდი...

ასე იწყება ეს წერილი და ბოლოზე, ვინმე ტანჯვაძე აწერს ხელს. ვიტანჯე და ვიცოდვილე ამ წერილის გადაკითხვაზე და ისიც კალათას ჩავაბარე. აბა მითხარით თქვენი ჭირიმე ვის რათ ეჭირვება ხუცის მუშტი და უჩიტლების კარტ-ნარდი. დეე მათი ხელობა თვით ხალხმა დააფასოს.

3.—ეს კი ლექსი გახლავს:

ჩემი ტანჯვა წიაღში
მაღლა მიდის ცაშია,
პოეტობა ძნელია,
ვიტანჯები არ მშია;
გასწი ჩემო ლექსებო,
წინ, ღორივით, მთაშია
და მკითხველო შენ მიხვდი,
აქ თუ საქმე რაშია. **უბედურიძე.**

— მივხვდი, მივხვდი თუ რ შიდაც არის საქმე, მაგრამ რა?.. ვინ გიშველის?!! რაღა ეს ერთი, განა ცოტა უბედურიძეები მოგვეძევება ამ ლექსომანიის ხანაში? რომელი ერთის შველა შეიძლება?.. თუ ამ ლექს დაგვიბეჭდავთ, შემდეგ ათვის ამ გვარ ნაწარმოებს ბლომათ მოგაწვდიო, გვპირდება უბედურიძე ღმერთმა ასეთისაგან ყოველი რედაქტორი იხსნას და „წიაღში“ მიმავალი ლექსი კალათის წიაღში ჩავაგდე.

4.—უჩენიკობა გავათავე, უჩიტლათ დავდექი. ჯერ პასობიე არ მიმიღია. პრავიტელსტვენი სტარშინა უჩიტლების ჯამაგირს კაზნაჩეისტვაში არ გზავნის და მე ზამეჩანიე ზამეჩანიაზე მომდის... უჩიტელი არარიძე.

მამანო და ძმანო, იხსენით ყრმანი თქვენნი არარიძეებისაგან, ვინაიდან ერა რაი არს სკოლასა შინა თქვენსა. ეს წერილიც კალათში ჩავაგდე.

5.—ეკონომიის წერილი. ასე იწყება ეს ღირს შესანიშნავი „ნაწარმოები“; „ინტერნაციონალური კოოპერაცია, კოლონიზაციის ლიკვიდაციას, კაპიტალიზაციის აპერაციაში კონცენტრაციის დეცენტრალიზაციათ მასიურად აწარმოებს. ეს ასედაც უნდა მოხდეს და სხ... მარქსიძეო აწერს ავტორი.

დიდება სულგრძელებასა თქვენსა ნაფიცნო და არა ნაფიცნო, ჰოი, რედაქტორნო, რამეთუ სატანჯველი თქვენი დიდი არს მას რედაქციასა შინა თქვენსა. თქვენ, სანამდინაც პერანგი გეზიდებოდეს, ღმერთმა გარედაქტოროს, ხოლო მე, თუ ამის შემდეგ რედაქტორად მნახოთ, ყური ძირში მიმათალეთ.

ა. ბლიკვაძე

მესტვირული

ეჰ! ტარტაროზო, ძლიერო
იკურთხოს შენი მსჯავრია,
გაარიცხვმრა ლოს ეშმაკი
და მხნე იმისი ჯარია.

მე და ბატონი

აკი ვამბობდი უჩემოდ,
არ ივარგებდა ბატონი!...
ქარხანაშიც ვაუწყე,
მან კი მიჩვენა «ზაკონი»...
გამიპირქუშდა, გამკიცხა,
ლანძღვები მითხრა „რამდონი“...
შეკრიბა მთელი ამალა
ერთგულები და სანდონი...
დამტუქსა, დამაპირშავა,
პირზე დამადო ბოლქომი.
და ჩამიბნელა წყვდიადით,
ისედაც ბნელი სადგომი...

—

ახლა რას ხედავს მოძრავი
და გამჭრიახი თვალია!?
ბატონს ხიფათი შეემოხვა,
ჩემზე დააყრდნო ძალია,
გამგზავნა ჭირის მკურნალად
მძიმე დამადო ვალია,
ლამაზ-ლამაზი სიტყვებით
ამივსო გზა და კვალია.
საპირო გავხდი, მიხმარა,
როგორაც სამართალია...
ია და ვარდით შემამკო,
ის მითხრა — რაც მართალია.
საშობოთ ბევრი რამ მიძღვნა,
ახალწელს ფორთოხალია!?
აღდგომას კვერცხებს მიმზადებს,
იმისი პატარძალია!?

—

როს დავბრუნდები პირიდან,
ცოცხალი გამარჯვებული...
მაშინ რას მეტყვის იმისი
ბაგენი გალაღებული?!
მე თითონ ვიცი პასუხი:
დავშთები დავიწყებული...
— მარა ახსოვდეს: ეშმაკის
მათრახი განახლებული...

ალ. ზაგლობა

ომის ილიუსტრაცია



როგორ ისვრიან ყუმბარებს გერმანელები ცეპელინიდან.



ჰაეროპლანი.

პროვინციის მოღვაწენი

იუბილე გუსარ როსტომის-ძე ფუტურიძისა.

— მიულოცავს ასტავნოი ჩინოვნიკებს სახელით ბ-ნი ჩანჩურა. აცხადებს მერიქიფე.

— დიდო ბატონო,

გუსარ როსტომიჩ! პროსტი პოჟოლუსტა, თუ ჩემს ნათქვამს რეჩში. ბევრი ოშიბკა დარჩეს, მარა თქვენ ისეთი ველიკო დუშნი ბრძანდებით რომ ყიცი მაპატიებთ: დიდია ჩვენზე თქვენი ზასლუგა. რა ვიყავით უთქვენოთ, სავსემით აფერი! თქვენი წყალობით ზოგს პრისტაობა მისცეს, ზოგს მიროვოი პოსრედნიკობა, ზოგს პრავიტელსტვენი სტარშინობა, რაც გვინდოდა იმას ვშოვილობდით და სახელიც გვითქვით და პაწეი ქონიც მივიკარით. თქვენ თუ არ გვყოლოდი ვინ შეგვარჩენდა საკუთარი სახლის დაწვას გლეხების გადაბრალებას და ეგზეკუციით ას მანათიანში ათასი მანეთის აღებას? ვინ შეგვარჩენდა შვიდი შაურის გულიზა ვაჭრის ყურის ბარბანის გახეთქას და მის სიკვდილს? ვინ შეგვარჩენდა ქაში ჩადანაშაულო ქალის დამარხვას? ვინ შეგვარჩენდა სახემწიფო ფულების შეიმასქნას, მაგრამ თქვენ იყავით ჩვენი მფარველი და თქვენით ვართ მაძღარი და პენციიანი. ნიშნად მადლობისა გიძღვნით დიდ საფულეს შევროს ტყავისას, მიიღეთ ეს ჩვენგან ნა პამიატ. პაწეი ნიორთნაქურჩელაიც ქეაშით, მარა იგი რა სათქმელია. იყავით დღეგრძელი და პოდიმეტ ბოლ ვას ვიშე ი, ვიშე ურა:

ოჩერედში ახლა უჩიტლების წარმომადგენელი არის! წამოიძახა მერიქიფემ და წინ წამოდგება ერთი დაბალი მასწავლებელი.

— მოწყალეო ხელმწიფეო და ჩვენო მფარველო დიდათ განათლებულო ბატონო გუსარ! წარმომგაზვნა სოფლის მასწავლებლებმა, რომ მოგილოცო მათ მაგიერ და გითხრა ორიოდე სიტყვა, მაგრამ ჯერ ნება მიბოძე დაგიკოცნო ჩვენო მწყალობელო მარჯვენა. (კოცნის) ახლა მოსვენებული ვარ და შემიძლია გაგიბედოთ. დიდია თქვენი მოღვაწეობა ჩვენთვის თქვენ მიერ შემოწირული მანეთნახევრიანა ზვონოკი ახლაც კიდია ჩვენს კლასში და მოუწოდებს უჩენიკებს. ყველაზე მეტათ იმას ვაფასებთ, რომ ბევრი ჩვენთაგანი დააწინაურე: ზოგს პრისტაობა აშონიე და ზოგს უპრავლიაშჩობა. რაც გოროდისტი უჩიტლები იყო თქვენი წყალობით, ახლა ყველაი სმატრიტელია და ყველაი დიდი მიღებულია დირექტორიდან. ყველაი აფასებს თქვენ ბრძნულ ბრძანებას და შეაბიჯებს კლასში ფეხს ბალანაი თუ არა, მაშინათვე რუსულათ აწყებინებენ სტავლას. ნუ გაგვირისხდები და მიიღე ჩვენგანაც პაწეი სახსოვარი. გიძღვნით ჩვენი უჩენიკების მიერ გაკეთებულ ბამბუკის კრესლოს. იცოცხლეთ მრავალ ჟამიერ.

— მიულოცავს არესტანტების წარმომადგენელი ცუტკურია კუდურია.

— ჩვენო მამავ, და თავისუფლების მომნიჭებელო გუსარ! ბედნიერი ვართ მეც და ყველაი ჩემი ამხანაგები, ვისი სახელითაც მაქვს მე ბედნიერება მოგილოცო დღევანდელი იშვიათი დღე. ბევრი ფიქრობდა, რადგანაც ციხეში ვიყავით ჩვენ არ ვიყოთ კაცები და არ ვიცოდეთ კაცის დაფასება, ავისა და კარგის ცნობა. ჩვენც ვიცით, რა იყო ჩვენი ცხოვრება მანამდი, სანამ თქვენ არ იკისრეთ ჩვენი ციხის კომიტეტის პრესედატელობა? ამის შემდეგ გაუმჯობესდა ჩვენი ცხოვრება. მანამდი არ ვიცოდით ხსნილი და მარხვა, ლოცვა და ზიარება. თქვენ შეგვაძლებიე ქრისტიანობა. ახლა დიდმარხვას კი არა, ოთხშაბათ პარასკებსაც უბრალო და უკანწავ ლობიას ვჭამთ. უწინ ციხეში გაზეთსაც შემოაპარებდენ და იმიზა ერთ გამწარებაში ვიყავით. წევიკითხავდით შიგ რაცხას და შეგვექნებოდა დავა და მაგ გაზეთის გულიზა ვინ იცის რამდენი იჯდა კარცერში, ახლა არც გაზეთი გვაწუხებს და არც წიგნი. ავათ რომ ვინმე გახდებოდა, უწინ ასე ვიცოდით, მაშინვე ექიმი და ფერშალი მევიდოდა და აფთექიდან წამალს გვიწერდა, ციხე დიდ ხარჯში იყო ამით მარა თქვენ მიაქციეთ ამას ყურადღება და ყველა აფერი წამლის მაგიერ გამოგვიწერე საჭმელი მარილი. უწინ კაი კამერა პოლიტიკურების იყო, იგინი იჯდა შით და ციხეში იგინი გვაჯდა თავზე, მარა თქვენ იგინიც მოგვაშორე, ჩაყარე ბნელ ოთახში და უთხარი, რომ თქვენ ქვეყნის განათლებას, რომ ფაქრობდით თუ კაი ბიჭები ხართ აგი კამერა გაანათეთო... ყველაი ქურდები, კაცის მკვლელები, კანცელარიის ფულების შემჭმელები, ყველაი ხელაპყრობით ლოცულობს და გიძღვნის ციხეში პურისგულიდან გაკეთებულ ირემს და გისურვებს დიდხანს იცოცხლო ჩვენდა ნუგეშათ.

— აბა შენ, ეი, გლეხების მაგიერათ მოლაპარაკევ, შენი ოჩერეზია, ყვირის მერიქიფე.

— მე თქვენი ყურ მოჭრილი მონა, დღიანღამიანებ თქვენი დღეგრძელობის მსურველი, ვბედავ ჩვენო დიდო ბატონო მოგილოცო ამდენ ხანს ჩვენს ნუგეშათ ყოფნა. უცროს უფროსობა ღვთისგანაა დაწესებული, ამის მაგალითად ღმერთმა თითებიც უცროს უფროსი მოგვცა. თქვენ დღიან-ღა-

მიანებ ცდილობდი ჩვენს კარქათ ყოფნას, კარქა იცოდი რომ გლეხი უმათრახოთ და უბატონოთ არ ვარგა, თავს ეიგდებს, გაზარმაცდება, ღმერთი დაავიწყდება. ამიზა ვინ იცის რამდენი იშროშე. თქვენი წყალობით გამეიცა ბრძანება დიდმარხვაში ყველას ზიარება აგველო და სტრაჟნიკებმა მორეკა საყტარში ყველა ურჩი. თქვენ არ გამოგეპარათ რომ ჩვენ ქორწილში დავთვრებოდით და ხან და ხან ჩხუბსაც ვიზამდით, ზოგჯერ ხასანბეგურაისა და ალიფაშას მაგიერ უცხოფერ სიმღერასაც ვიტყოდით „მტრობა მაგ ძაღლებს მდიდარ ქოფაკებსო“. თქვენ დაგვიხსენი განაცდელიდან და გამოიცა ბრძანებადა გლეხის ქორწილიკ დიდკაცური დარჩა. ყველა ქორწილს სახემწიფო მცველი მივუჩინეთ. ნეფე-დედოფალს დასურ მეფესავით იახლებოდა სტრაჟები... თქვენ გვასწავლე ჩვენი პატივისმცემლის დაფასება და როცა ერთი რუსი მოკვტა, ჩვენ ქალებს უბრძანე ეტირათ და კიდეც მიტიროდა მოთქმით ქალები: ძმაო რუსო, ძმაო რუსოო! თქვენ გვასწავლე დიდ-კაცური საჭმელების გაკეთება, გოკის ნადუღარაში შეწვა. თქვენ გვასწავლე გაპირვების ატანა, თქვენგან ვისწავლეთ უფროსის პატივისცემა და ასლანის ხურჯინის გატენა. ჩვენ ვიყავით ღარიბები, და არ გვყოფნიდა საყანე მიწა, თქვენი მეოხებით ჩვენი ეზო სახლებისაგან გეიცალა და იქ, სადაც ოდები გვედგა, გაკეთდა სახაპე ადგილი. ნახევარ ნალია სიმინდს გვიჭამდა ქათამი და ძროხა, თქვენ შეგვიწყვე ხელი და აგი არცერთი აღარ გვაწუხებდა. გვიყვარდა ხან და ხან ოტკის სმაი, მარა თქვენი წყალობით მაგიც ქე მევიშალეთ. თქვენს ყნოსვას არ გამეპარებოდა ვინ სვამდა ოტკას და ვინც იწამლავდა თავს. საოტკე ქვაბს თქვენ ეძებდით ჩალის ზვინში, საყდარში, ღელაღურდაში და ყველგან. დიდხან ებძოლე მარა რავარაც იქნა მაგიც და თუთუნის წევაც მოგვისპე და ორივეს ხარჯისაგანაც და საწამლავისაგანაც დაგვიფარე. ერთი სიტყვით მე სად შემიძლია ჩამოვთვალო რა სიკეთე გვიყავი თქვენ. თქვენ მიგვახვდინე რომ გლეხი იმიზაა გლეხი, რომ ყველას გლახასავით ემსახუროს და მეც, ასე დამაბარეს გლ ხებმა: გემსახურებით ერთგულათ, არ მოგაკლებთ არც მიწის ბაჟს, არც ტყის ბაჟს, მოგართმევთ საბალახოს, მოგვირთმევია ყველით გატენილი დედო ხაჭაპური, ნიგვზით გასუქებული მამალი ინდოური, ჩხავერით გაბერილი გუდა, ღომით დაბექსნილი ტომარი და ღმერთმა იმდენ წელიწადს გაცოცხლოს რამდენი ღომის კეკალია ამ ტომარაში.

შრაპნელი.

აკაკის ნაკვესები.

ერთი ვინმე ყმაწვილი კარგ გუნებაზე იყო თურმე და «მიმინო მყვანდას» მღეროდა. იმდენი იმღერა ეს „მყვანდა“, რომ ყველას თავი მოაბეზრა და ყველაზე უფრო კი აკაკის.

— არ გეტყობა, რომ მიმინო გყოლოდეს, თორემ ამდენი მწყრები არ გეყოლებოდაო, — უთხრა თავმობეზრებულმა პოეტმა.

ახალი „მათრახის“ ფოსტა.

ბ-ნ კვესს.

„ქრისტე ამბობს: „არა კაც ჰკლა!“
ეს არს მისაღები მცნება“

ქრისტემ სთქვა: «მიეცით კეისარსა კეისრისა და ღვთისა ღმერთსაო».

ჩვენი აზრით ესეც მისაღები მცნებაა. ამიტომ მოდი მივყვეთ ამ მცნებას, ნუ წავართმევთ მოსე წინასწარმეტყველს მის ნათქვამს (იხ. ათი მცნება).

—ოც - ელს.

იმას ვეტრფი, მას შევხარი
მას ვუძახი, იმას ვუცდი,
ბედნიერებას იმასთან
მხოლოდ იმასთან განვიცდი“.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ ამ გვარ ლექსს არც ვეტრფით, არც შევხარით, არც ვეძახით ლექსს, არც ვუცდით და თუ მაინცა და მაინც მოგვივა, ჩვენთან «ბედნიერებას ვერ განიცდის», მაშინვე კალათში ვაგზავნით.

მუზაძეს.

„თუ ამ ლექსს დამიბეჭდავთ, მაშინ ყოველ ნომერზე მოგაწოდებთ ნაწერებს“.

თუ თქვენ ყველა რედაქტორთან ასეთი გულახდილი ბრძანდებით, გარწმუნებთ არავინ ლექსს არ დაგიბეჭდავს.

ქ-ნ ობობას. შარადა დაგვიანებულია და არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ უფრო საზოგადო და გარდაუვალი შინაარსისა.

სამხედრო ხბო

„ვისაც არა სურს, რიყეზე კენჭიც არ დაენახება (ქართული ანდაზა.)



მოიჯარადრე. თქვენ სიყრმეს ვფიცავ ნამდვილი ხბო არის... კბილები ჯერაც არ ამოსვლია, თქვენ კი გაღალესილი ბგონიათ. დახე, ისეთი ნორჩი რამეა, ჯერ ერთი წლისაც კი არ იქნება. ეგეთი ხორცი დაუდგება, რომ ავათმყოფი ჯარის კაცები სულ თქვენი მშობლების სულის ხსენებაში იქნებიან.

ექიმი. რითა ჰკვებამდი რო ერთ წელიწადს ამოდენა გაზდილა?

მოიჯარადრე. სულ რძითა, თქვენს მზესა ვფიცავ!

საავათ. ზედამხედველი. ჩინებული ჯიში ყოფილა! აი ხბოც ასეთი უნდა.

რედაქტორ-გამომცემელი—**ნ. დ. ულენტისა.**

Печатать разр. воен. цензурой. Типогр. Т—ва „Прогрессъ", Лорисъ-Меликовск. № 1.